პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Совета депутатов трудящихся Грузинской ССР

№ 80 (11084)
პარასკევი
4
აპრილი
1958 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის. — „პრავდის“ 3-IV მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია უნგრეთში. — მოლაპარაკება სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებს შორის. საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ეწვია უნგრეთის სახელმწიფო კრებას. ძეგლების საზეიმო შემკობა გვირგვინებით (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებები კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამაა (მე-2 გვერდი).

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადამ ჩაიარა როგორც ძმობისა და მეგობრობის დიდმა დღესასწაულმა (მე-3 გვერდი).

მახარაძელთა თაობნობის პახუბად — გვ. ვაძლიეროთ სოფლად კულტურული-საყოფაცხოვრებო მშენებლობა (მე-3 გვერდი).

ისტორიული წვლილი [illegible] უცხოეთის გამოხმაურება სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებაზე (მე-4 გვერდი).

უნგრელი ხალხის ეროვნული დღესასწაული (მე-4 გვერდი).

მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის

⊙

„პრავდის“ 3/IV მოწინავე

⊙

სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში შევა როგორც დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი მშვიდობისათვის, ომის ძალების წინააღმდეგ მებრძოლ ხალხთა ძნელ და სახელოვან გზაზე. დარბაზის სიღრმეში, სადაც მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის გამოდიოდნენ საბჭოთა ხალხის წარმომადგენლები, აღმართული იყო ქანდაკება დიდი ლენინისა, რომელმაც დასახა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის გზა. სწორედ ლენინის მიერ გაკაფული ამ გზით განუხრელად მიდიოდა და მიდის ჩვენი სამშობლო, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს. ამ გზაზე უდიდესი ნაბიჯია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება ატომგულის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ.

შემოქმედმა ხალხმა, რომელიც კომუნიზმის ნათელ შენობას აშენებს, ყველა ხალხს მოუწოდა ალაგმონ ომის დამანგრეველი ძალები, ხელი შეუწყონ კაცობრიობის განთავისუფლებას მშვიდობის ბედისათვის, მომავალ თაობათა ბედისათვის მძიმე შეშფოთებისაგან.

მიზეზი ამ შეშფოთებისა, რომელმაც დედამიწის მთელი მოსახლეობა მოიცვა, ის არის, რომ ბუნების უდიდესი ძალა — ატომგულის ენერგია, რაც კაცობრობამ ამ ცოტა ხნის წინათ აღმოაჩინა, თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების აგრესიულმა წრეებმა გადააქცია დამანგრეველ და არა აღმშენებლობით ძალად. ამავე დროს იგი უნდა იყოს კაცობრობის დიდი კეთილისმყოფელი, ადამიანის საუცხო თანაშემწე მის მუდმივ ბრძოლაში ბუნების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის მატიანე საუკუნეთა სიღრმეში იწყება. პოეტურ ლეგენდებში პრომეთეს შესახებ იფერფლება იმ კოცონის ნახშირი, რომელიც პირველად ისტორიის გარიჟრაჟზე აანთო ადამიანმა. იმ დროიდან ითვლის კაცობრობა თავის სახელოვან გამარჯვებებს ბუნების მძლავრი ძალების დაუფლებისათვის ბრძოლაში. მრავალი ათასი წელი გავიდა, სანამ დადგებოდა ორთქლის ხანა და ცეცხლი აინთებოდა პირველი ორთქლის ქვაბის საცეცხლურში. შემდეგ ადამიანმა გამარჯვება მოიპოვა ელექტრობაზე, ბუნების იმ ძალაზე, რომელიც საუკუნეებით მხოლოდ აშენებდა მას, როცა ცაში ელვის სახით გამოჩნდებოდა. ატომგულის ენერგიის აღმოჩენა კი ადამიანს პირიდან ახალ-ახალ უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ აღმოჩენებს, ძირეულ გადატრიალებებს ტექნიკის სულ სხვადასხვა დარგში.

როცა ელექტროდენი პირველად გაუშვეს სადენებში, მას ადამიანთა დასახლებულ სადენებში, მას ადამიანთა დასახლებულ სადენებში, მას ადამიანთა დასახლებულ სადენებში. ელექტრობის ხანა სიკვდილით დასასჯელი ელექტროსკამის გამოგონებით როდი დაწყებულა. მაგრამ კაპიტალისტური სამყაროს ახლანდელმა მბრძანებლებმა ატომის ენერგია, რომელიც ეს არის აღმოჩენილ იქნა, გამოიყენეს ადამიანთა დასახლებულ ადგილებში, რომ ოდნავაც არ გამოუცდიათ მისი კეთილმყოფელი ძალა. ატომის ენერგიის აღმოჩენა კაცობრობამ იგრძნო, როცა სიკვდილის ღრუბელში იწვოდნენ ჰიროსიმისა და ნაგასაკის ადამიანები.

საბჭოთა კავშირი დაუცხრომლად მიმართავდა წინადადებით დასავლეთის სახელმწიფოებს — აეკრძალათ ატომგულის ენერგიის გამოყენება ადამიანების მოსასპობად. მაგრამ სსრ კავშირის ყველა მოწოდება უშედეგოდ რჩებოდა. ამ იარაღის ახალ და ახალ სახეობათა გამოცდა ერთმანეთს მისდევს. ეს გამოცდა ზიანს აყენებს ყოველივე ცოცხალს დედამიწაზე. მომავალ თაობებს ეშუქრება საშინელი შხამით, რომელიც სისხლსა და ხორცში, ძვალსა და რბილში უჯდება ადამიანებს. თვითეული გამოცდა გამალებული შეიარაღების ახალი საფეხურია, ომის მომზადების კიბის ახალი საფეხურია. საბჭოთა კავშირს არაერთგზის მოუთხოვია, რომ დაიდოს საერთაშორისო შეთანხმება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. დასავლეთის სახელმწიფოები ყურს იყრუებდნენ დადგა საკითხი: როგორ გავაგონოთ გონიერებისა და სინდისის ხმა ადამიანებს, რომლებიც ყურს იყრუებენ?

სესიის ტრიბუნიდან ლენინგრადელმა ხარატმა დეპუტატმა ნ. ი. პერშინმა თქვა: „სულ მხოლოდ ამ ორი კვირის წინათ ჩვენი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ან. ნ. ს. ხრუშჩოვმა მოგვაგონა, რომ მთელი მსოფლიოს ახეულ მილიონობით უბრალო ადამიანი სულ უფრო მტკიცედ მოითხოვს ბოლო მოელოს ომის მიზნით ატომგულის იარაღის გამოცდას, და ჩვენ ვუახლოვდებით იმ მომენტს, როცა მთავრობებს, თუ მათ სურთ შეინარჩუნონ კავშირი თავიანთ ხალხებთან, აღარ შეეძლებათ არ გამოეხმაურონ თანამედროვეობის ამ მოთხოვნას. ეს თქვენი სიტყვები, ნიკიტა სერგის-ძევ, ღრმად ჩასწვდათ გულში უბრალო ადამიანებს და ახალი იმედები ჩაუსახა ყველა ხალხს. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საბჭოთა კავშირი კომუნისტური პარტიის ინიციატივით პირველი ახორციელებს ესოდენ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას — უჩვენებს გამოსავალს იმ ჩიხიდან, რომელშიც განიარაღების პრობლემა აღმოჩნდა“.

მუშის შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა აკადემიკოსი, მას მიჰყვა უკრაინის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც მხურვალე მოწოდებით მიმართა მთელი მსოფლიოს ქალებს. შემდეგ გამოვიდა წარმომადგენელი მშრომელთა ყველაზე მასობრივი ორგანიზაციისა — პროფკავშირებისა, რომელნიც აქტიურად მონაწილეობენ ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში. მწერალმა ლეონიდე ლეონოვმა, ილაპარაკა რა ატომგულის იარაღის გამოცდის შესახებ, გულისწყრომით იკითხა: „იბადება კითხვა: ჯარისკაცისა და დედის ტანჯვის რა ახალ მწვერვალს უნდა მიაღწიონ დაზიანების სარკოკორდო რადიუსიანი საშინელი ბომბის ამ განუწყვეტელი ძიებით?“. უნდა შეწყდეს ეს „ძიება“!

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების პარლამენტებს გამოიყენონ მთელი თავიანთი გავლენა იმისათვის, რომ ყველა სახელმწიფოს მიერ ატომგულის იარაღის გამოცდის სამარადისოდ შეწყვეტის საკითხი საბოლოოდ გადაიჭრას ხალხების მისწრაფების შესაბამისად. საბჭოთა სოციალისტურმა დემოკრატიამ ხელი გაუწოდა ძველი სამყაროს დემოკრატიას, რათა გაიერთიანონ ღონისძიებანი კეთილშობილურ ბრძოლაში ატომური ომის წინააღმდეგ, რომელიც კაცობრობას ემუქრება. და მათ, ვინც ყოველდღე ქება-დიდებას ასხამს დასავლეთის პარლამენტარიზმს, შეუძლიათ ახლა საქმით დაგვანახონ, თუ რა შეუძლია მას, როგორ გაუძლებს იგი შემოწმებას სერიოზულ გადაწყვეტილებათა დროს, რომლებისთვისაც პასუხისმგებლობა ყველა ქვეყნის პარლამენტებს დაკისრა ისტორიამ.

საბჭოთა პარლამენტის მკაცრ თეთრ დარბაზში კრემლში ჯერ კიდევ ტაში გრიალებდა, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ ისტორიული აქტის მიღების ამბავი მთელ დედამიწას მოეფინა და იმედი ჩაუსახა გულში მილიონობით ადამიანს. სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენა, მიუხედავად მათი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილებისა, მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას. საბჭოთა კავშირმა დასახა მშვიდობის ნათელი გზა. წერს ჩინეთის გაზეთი „უენმინჟიბაო“. სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭო გაბედულ და ქმედითს გადაწყვეტილებას უწოდებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას. იაპონელი ქალაშვილები და ჭაბუკები სსრ კავშირის საელჩოსთან ტოკიოში მივიდნენ პლაკატებით, რომლებსაც ეწერა: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის უარისთქმას ატომგულის გამოცდაზე“. თვალსაჩინო ინგლისელი ფიზიკოსი ბუროპი აცხადებს: „ყოველმხრივ უნდა მივესალმოთ საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას“. ასეთი ხმები გაისმის ყველგან. დედამიწის ყველა კუთხეში.

მაგრამ სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული და ჰუმანური ნაბიჯი, რასაკვირველია, არ ეპაშნიკათ დასავლეთის იმ წრეებს, რომლებსაც არა სურთ უარი თქვან გამალებული შეიარაღების პოლიტიკაზე. ამ წრეების რუპორია ახლა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი. ამერიკელი დიპლომატები გამოცდის შეწყვეტის ნაცვლად მოუწოდებენ... „მოეწყოს შესწავლა, რაც საჭიროა ატომგულის გამოცდის კონტროლსდაქვემდებარებული შეჩერებისათვის“. მაგრამ კონტროლის საკითხის „შესწავლის მოწყობა“ მხოლოდ დროის გაყვანის ხერხია. უნდა მოეწყოს არა იმის შესწავლა, თუ როგორ შეწყდეს გამოცდა, არამედ ნამდვილად უნდა მოეღოს ბოლო ატომური და წყალბადის იარაღის აფეთქებას. რაც შეეხება კონტროლს, უდიდესმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა კურჩატოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე განაცხადა: „ზოგჯერ ამბობენ, რომ არ შეიძლება კონტროლი გავუწიოთ იმას, აწარმოებს თუ არა ესა თუ ის სახელმწიფო ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდას. ეს ფუჭი და უპასუხისმგებლო ლაპარაკია! კარგად არის ცნობილი, რომ არსებობს ბევრი მეთოდი, რომელთა საშუალებით ატომური და წყალბადის ბომბების აფეთქება შეიძლება აღინიშნოს შორ მანძილზე“. ამავე დროს საბჭოთა კავშირმა შეიტანა წინადადება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან შეიქმნას საერთაშორისო კომისია და მისი ხელმძღვანელობით ნაცვალგების საწყისებზე დაწესდეს საკონტროლო საგუშაგოები სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის ტერიტორიებზე და წყნარი ოკეანის რაიონში ავსტრალიიანად.

დასავლეთის პრესის ბევრი ორგანო, იმეორებს რა სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მიცემულ გაკვეთილს, გაიძახის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება „პროპაგანდაა“. მაგალითად, გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, რომ დადგენილება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ „ისეთივე მძლავრი იარაღია პროპაგანდის დარგში, როგორიც არის წყალბადის ბომბი სამხედრო დარგში“. მაგრამ რა არის ეს „საბჭოთა პროპაგანდა?“ ჩვენი პროპაგანდის მიზანია, რომ თანამედროვეობის ყველაზე ჰუმანური იდეები მასების კუთვნილება გახდეს და ამით დიდ მატერიალურ ძალად იქცეს. ჩვენ ვავრცელებდით და კვლავაც გავავრცელებთ ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის იდეებს, თუმცა ეს არ მოსწონს ზოგიერთ ვაჟბატონს ნიუ-იორკში. არსებითად, ამერიკის გაზეთი თავის ყაიდაზე იძულებულია ადიაროს საბჭოთა საზოგადოების უდიდესი მორალური გამარჯვება.

საბჭოთა ხალხმა თქვა თავისი გავლენიანი სიტყვა იმ ძალების საქმიანობის გამო, რომლებიც ატომურ ომს ამზადებენ. საერთაშორისო ცხოვრების შემაშფოთებელ ამბებს შორის, რომლებიც ამ ძალების საქმიანობამ გამოიწვია, მშვიდობისმოყვარე ხალხთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეების გადაწყვეტილება — ატომური იარაღით აღჭურვონ დასავლეთ გერმანიის არმია. გერმანული მილიტარიზმის ახალი სახით აღორძინების საფრთხე, რომლის შესახებაც ასე მტკიცედ იძლეოდა გაფრთხილებას საბჭოთა კავშირი, დიმუქრა ევროპას, რომელმაც სისხლი დაღვარა ამ მილიტარიზმით გამოწვეულ ორ მსოფლიო ომში. არ შეიძლება უმოქმედობა, არ შეიძლება დროის დაკარგვა. ხალხებმა იციან ეს. თვით დასავლეთ გერმანიაში და მთელ ევროპაში იწყება მძლავრი პროტესტები ბონელი მილიტარისტების ცეცხლთან საშიში თამაშის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ შეიძლება თავიდან ავიცილოთ საფრთხე, რომელიც ევროპის კონტინენტს ემუქრება. ხელმძღვანელობა ამ მიხწრაფებით, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო მიმართვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგისადმი და დაავალა პალატების თავმჯდომარეებს მიმართონ ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილე სახელმწიფოებისა და იმ ქვეყნების პარლამენტებს, რომლებიც ჰიტლერულმა აგრესიამ დააზარალა მეორე მსოფლიო ომის წლებში. ყველა იმათი გაერთიანებული ღონისძიებებით, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, ევროპა შეიძლება გადაურჩეს ვანდალიზმის ახალ შემოტევას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი მიღებულია მილიონობით ადამიანთა ინტერესებისათვის და ამ დადგენილებებს მხარს დაუჭერენ მილიონები. ჩვენს სამშვიდობო პოლიტიკას იწონებს დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმეტესობა, ამბობდა ლენინი. და ეს არის მისი ძალა.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია უნგრეთში

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ჩასვლა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში. სურათზე: შეხვედრა ფერიხედის აეროდრომზე.
ფოტო დ. ბალტერმანცისა.

მოლაპარაკება სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებს შორის

ბუდაპეშტი, 2 აპრილი. (**საკდესის სპეც. კორ.**). დღეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში დაიწყო მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებს შორის.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი, უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის კპ კიევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ა. პ. ბოიკოვა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უნგრეთში ე. ი. გრომოვი.

უნგრეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე დოქტორი ფერენც მიუნიხი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური მთავრობის თავმჯდომარე დოქტორი ფერენც მიუნიხი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იენე ფოკი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დიულა კალაი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კაროი კიში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დიერდ მაროშანი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი მიკლოშ შომოდი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ენდრე შიკი.

დელეგაციებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე. მოლაპარაკების დროს გამოვლინდა შეხედულებათა სრული ერთიანობა ყველა საკითხში.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულითად, მეგობრულ ვითარებაში.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ეწვია უნგრეთის სახელმწიფო კრებას

ბუდაპეშტი, 2 აპრილი. (**საკდესი**). დღეს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით ეწვია სახელმწიფო კრებას.

სახელმწიფო კრების მთავარ შესასვლელთან საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს შეხვდა სახელმწიფო კრების თავმჯდომარე შანდორ რონაი. საბჭოთა სტუმრები მუნკაჩის დარბაზში მიიღეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა იანოშ კადარმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ იშტვან დობმა, რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარემ დოქტორმა ფერენც მიუნიხმა, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა და მთავრობის წევრებმა.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებსა და უნგრეთის სახელმწიფო მოღვაწეებს შორის გაიმართა ხანგრძლივი გულითადი მეგობრული საუბარი.

ძეგლების საზეიმო შემკობა გვირგვინებით

ბუდაპეშტი, 3 აპრილი. (**საკდესის სპეც. კორ.**). დღეს დილით, უნგრეთის განთავისუფლების წინა დღეს. ბუდაპეშტში საზეიმო ვითარებაში შეამკეს გვირგვინებით საბჭოთა მეომრების ძეგლი თავისუფლების მოედანზე და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის უნგრელ მებრძოლთა ძეგლი გმირთა მოედანზე.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ძეგლი გვირგვინით შეამკეს იანოშ კადარმა და დიერდ მაროშანმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის სახელით — იშტვან დობმა და იშტვან კრიშტოფმა, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის სახელით — ფერენც მიუნიხმა, ანტალ აპრომ და ენდრე შიკმა.

შემდეგ ძეგლი გვირგვინით შეამკო საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. გვირგვინზე არის წარწერა: „სამარადისო დიდება საბჭოთა მეომრებს, რომლებიც დაიღუპნენ უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია“.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საღამო

მოსკოვში 2 აპრილს გაიმართა საღამო, მიძღვნილი საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობისადმი. იგი მოაწყო პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა სრულიად საკავშირო საზოგადოებამ ფაშისტური უღლისაგან უნგრეთის განთავისუფლების მეცამეტე წლისთავი, აღნიშნა მან, არა მარტო უნგრელი ხალხის დღესასწაულია, ეს საბჭოთა ადამიანების, ყველა სოციალისტური ქვეყნის, მთელი პროგრესული კაცობრიობის დღესასწაულიც არის.

შემდეგ გამოვიდნენ კომპოზიტორი ა. გ. ნოვიკოვი, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი დ. დ. ივანენკო, კინომსახიობი ი. კ. სკობცევა, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ს. კოლესაევი, რომლებიც მოძმე უნგრეთში იყვნენ. მათ ილაპარაკეს საბჭოთა ხალხისა და უნგრელი ხალხის მეგობრულ ურთიერთობაზე, იმაზე, თუ როგორ აშენებს უნგრელი ხალხი ახალ ცხოვრებას.

საღამოს მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი ი. ვარგა-პერკე.

(საკდესი).

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის პირველი კვარტალის გეგმების შესრულება

სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის პირველი კვარტალის გეგმა: ხორცისა — 130,8, რძისა —170.6. კვერცხისა — 132 პროცენტით.

• • •

წყალტუბოს რაიონმა 26 მარტისათვის შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის პირველი კვარტალის გეგმა. ხორცის დამზადების გეგმა შესრულებულია 137,6 პროცენტით, რძისა — 146.5 პროცენტით, კვერცხისა — 100,5 პროცენტით.

• • •

ლანჩხუთის რაიონმა 25 მარტისათვის შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის პირველი კვარტალის გეგმა. ხორცის დამზადების გეგმა შესრულებულია 115,8 პროცენტით, რძისა — 231,1 პროცენტით. კვერცხისა—114,4 პროცენტით. (საქდესი).

სამტრედიის რაიონმა 20 მარტისათვის შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის პირველი კვარტალის გეგმა: ხორცისა — 187,8 პროცენტით, რძისა—153,4 პროცენტით, კვერცხისა — 100 პროცენტით.

რაიონის მშრომელებმა იკისრეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა შეასრულონ ვადაზე ადრე — 20 აპრილისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებები კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობათა დასახმარებლად

საბჭოთა ადამიანები დიდი მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, კანონს „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ინდუსტრიულ ცენტრში — ლენინის რაიონის საწარმოდაწესებულებებში მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები მხურვალედ მიესალმებიან სესიის გადაწყვეტილებებს, ღრმად სწავლობენ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას, ეცნობიან უმაღლესი საბჭოს მიმართვებს, რომლებიც მშვიდობის განმტკიცებას ემსახურება. ამ ისტორიული დოკუმენტების პასუხად რაიონის მშრომელები კისრულობენ ვალდებულებებს თავდადებული შრომით განამტკიცონ საყვარელი სამშობლოს შემდგომი ძლიერება, მშვიდობის საქმე.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს საამქროებში, ცვლებსა და ბრიგადებში პარტიული კომიტეტის წევრები, აგიტატორები მართავენ საუბრებს სესიის მასალების შესახებ. დეპოელები მხურვალედ მიესალმებიან პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. დეპოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა შეფობა გაუწიოს გარეუბნის რაიონის სოფელ კიკეთის კოლმეურნეობას. უკვე საექსპლოატაციოდ გადასცეს სახერხი დაზგა. გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს პატარა სახელოსნოს მოსაწყობად, რომელიც დაეხმარება კოლმეურნეებს მტს-იდან გადაცემული იარაღ-მანქანების შეკეთებაში. დეპოელები კიკეთელებს ბიბლიოთეკისათვის გაუგზავნიან ახალ ლიტერატურას.

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივმა შეფობა იკისრა სოფელ გლდანის კოლმეურნეობაზე, რომელსაც უახლოეს დღეებში გაუგზავნის იარაღ-მანქანების შესაკეთებელ ჩარხებს. ქარხანაში ამზადებენ პროექტს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესანახი ფარდულის ასაშენებლად.

26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელმა ქარხანამ თავის საშეფო კოლმეურნეობას — მახარაძის რაიონის სოფელ ჭანიეთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობას დაუმზადა სახარატო, სარანდავი, საღარავი ჩარხები.

საშეფო მუშაობის საქმე კარგად მოაწყო აგრეთვე ელმავლების მშენებელი ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ.

რაიონის საწარმო-დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციები მტკიცედ იბრძვიან კოლმეურნეობების დასახმარებლად ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე და წარმატებით შესრულებისათვის.

ლენინის რაიონის მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში დასახული საბრძოლო ამოცანები, თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების, მშვიდობის დაცვის საქმეში.

ვ. ნინოშვილი,
საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი.

თბილისის მშრომელები განსაკუთრებული ინტერესით ეცნობიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალებს. სურათზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პარტორგანიზაციის მდივანი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი კ. დიდებულიძე ინსტიტუტის თანამშრომლებს აცნობს სესიის მასალებს.

ფოტო ი. დავითაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲘᲧᲝᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲛᲗᲔᲓ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ!

ორმოცდაათზე მეტი აგიტატორი და წამყვანველ-მესაუბრე აცნობს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშებს, მოსამსახურეებს სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის ისტორიულ დადგენილებებს.

აგიტატორ ლ. სულაბერიძის საუბრის დამთავრების შემდეგ ამწყობი საამქროს უფროსმა შ. თევზაძემ განაცხადა:

— ჩვენი საამქროს კოლექტივი ერთსულოვნად იწონებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებებს, რომლებიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისაკენ, მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობისაკენ. საბჭოთა სახელმწიფომ მსოფლიოში პირველმა მიიღო საკაცობრიო მნიშვნელობის გადაწყვეტილება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ. ეს მკაფიოდ ადასტურებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავ ზრუნვას კაცობრიობის ბედისათვის, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის.

მექანიკური საამქროს მუშებმა უურადღებით მოისმინეს აგიტატორ ვ. კერეშჩენკოს საუბარი. მოწინავე ხარატმა ს. კანკავამ თქვა: — საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვის ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის, ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენებისათვის, იმისათვის, რომ მსოფლიოს ააცილოს ახალი ომის საშინელებანი. საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა ნათლად გამოხატავს ჩვენი საამქროს მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს, მათს ნებას — მშვიდობიანად იცხოვრონ ხალხებმა.

მხურვალედ იწონებენ რა სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშები, მოსამსახურეები ენერგიულად იბრძვიან, რათა ამრავლონ შრომითი მიღწევები საბჭოთა სახელმწიფოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევი ბურჯის — ძალისა და ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელები უდიდესი ინტერესით ეცნობიან სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მასალებს. ფაბრიკა-ქარხნებში და ახალმშენებლობებზე სამი ათასზე მეტი აგიტატორი მართავს საუბრებს სესიის გადაწყვეტილებებზე, აცნობს მშრომელებს სესიის მიერ მიღებულ კანონს „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის საკითხზე.

ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა ამ დღეებში ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა — გადამეტებით შეასრულა როგორც საერთო და სასაქონლო პროდუქციის, ისე ავტომანქანების გამოშვების პირველი კვარტალის დავალება. დიდი შრომითი აღმავლობაა ქარხნის იმ საამქროებში, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის სხვადასხვა დეტალებს ამზადებენ.

საავტომობილო ქარხნის კოლექტივი ყოველმხრივ აძლიერებს საშეფო დახმარებას წულუკიძის რაიონის გუბისა და კუხის, აგრეთვე ქუთაისის რაიონის ქვედა სიმონეთის კოლმეურნეობებისადმი.

ლიტოპონის ქარხნის საამქროებში საინტერესო საუბრებს მართავენ აგიტატორები ი. ბრეგაძე, რ. ხუჯაძე, ი. თოდრია, ვ. ქუთათელაძე, ვ. კილაძე და სხვ. საამქროს აგიტატორმა ინჟინერმა ი. ბრეგაძემ საუბარში განაცხადა:

— უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“, აგრეთვე დადგენილება საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის საკითხზე ერთხელ კიდევ ცხადყოფს ჩვენი პარტიისა და მთავრობის ბრძნულ, შორსმჭვრეტელ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით მშენებლობისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებისაკენ. ჩვენი ქარხნის კოლექტივს თავისი წვლილი შეაქვს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში. ყოველწლიურად საქმიანად ვეხმარებით მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის კოლმეურნეობას. გასულ წელს გადავუზიდეთ 60 ტონა მინერალური სასუქი, შევუკეთეთ ორი ავტომანქანა, დავეხმარეთ მეცხოველეობის სადგომების მშენებლობაში. ახლა ქარხნის კოლექტივი წინასწარ შემუშავებულ ღონისძიებათა საფუძველზე კიდევ უფრო აძლიერებს საშეფო დახმარებას.

ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲒᲐᲩᲐᲚᲓᲐ

წალენჯიხა. (საკ. კორ.). აგიტატორები გულდასმით განუმარტავენ კოლმეურნეებს, ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სესიის გადაწყვეტილებებს საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების საქმეში. სოფელ საჩინოს ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ღ. ჭანტურიამ კოლმეურნეებთან საუბარში თქვა:

— მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია დიდ სარგებლობას მოუტანს საკოლმეურნეო სოფელს. შეიქმნება გაცილებით უკეთესი პირობები ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მისაღებად. წალენჯიხის მტს-იდან შეძენილი ტექნიკით უკეთესად ვმუშაობთ, ჩვენ მკვეთრად გავადიდებთ ჩაის ფოთლის, სიმინდისა და სხვა კულტურების მოსავლიანობას. ამის საწინდარია ის, რომ კოლმეურნეობამ 90 ჰექტარი სასიმინდე ფართობის ხვნა უკვე დაამთავრა, მინდვრად გატანილია ნაკელი. კარგად არის მოვლილი 123 ჰექტარი ჩაის პლანტაცია.

საჩინოელ კოლმეურნეთა ვალდებულებაა წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 25 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად შარშან მიღებული 22 ცენტნერისა, ასევე გაადიდონ ჩაის ფოთლის მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲓ

ხობი. (საკ. კორ.). კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები მხურვალედ იწონებენ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე, გულდასმით ეცნობიან სესიის მასალებს.

სოფელ ხობის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებს სესიის მასალები გააცნო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. ხვითარიამ. კოლმეურნეებმა ერთხმად მოიწონეს სესიის მიერ მიღებული კანონი მტს-ების რეორგანიზაციის შესახებ და აღნიშნეს, რომ ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს საგაზაფხულო სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებას, მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას.

— წელს სიმინდისა და ჩაის უხვ მოსავალს მივიღებთ, — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. ხვითარიამ. — ხობის მტს-ისაგან შევიძინეთ „დტ-54“ მარკის ტრაქტორი და მისაბმელი იარაღ-მანქანები. სიმინდს 160 ჰექტარზე დავთესავთ. მალე შევუდგებით თესვას, პლანტაციებში უკვე დავამთავრეთ ჩაის გადაბარვა, მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა და გასხვლა.

კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა 160 ჰექტარი სიმინდის ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 22 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად შარშან მიღებული 17 ცენტნერისა, საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფოს 2.300 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ადგილობრივი ჯიშის 75 ძროხიდან თვითეულზე მიიღოს 900 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 650 ლიტრისა.

ᲛᲔᲡᲧᲘᲓᲣᲚ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲡ ᲨᲔᲣᲤᲔᲠᲮᲔᲑᲚᲐᲓ ᲕᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲗ

მთელი ჩვენი ხალხის უდიდესი შრომითი აქტივობა გამოიწვია სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მასალებმა, კანონმა „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“.

პრაქტიკამ, თვით ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ კოლმეურნეობას შეუძლია უფრო ოპერატიულად და მოქნილად გამოიყენოს ტექნიკა, ვიდრე მანქანა-ტრაქტორთა სადგურს. ჩვენმა კოლმეურნეობამ მტს-ისაგან უკვე შეიძინა 2 ტრაქტორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. ახლა ახალ პირობებში გვიხდება მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების შესრულება.

კოლმეურნეობის გამგეობამ ტექნიკის შეძენის პირველი დღიდანვე დასახა ღონისძიება მანქანების შეუფერხებლად გამოყენებისათვის. ახლა ვამზადებთ ნიადაგს სიმინდის დასათესად. ჩვენი პირობაა სიმინდის თესვა დავამთავროთ 25 აპრილამდე, საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 35 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 25 ცენტნერისა.

კარგად ვუვლით ჩაის პლანტაციას. სათანადო დოზით შევიტანეთ აზოტოვანი სასუქი. პლანტაციების გასხვლა დასასრულს უახლოვდება, აქედანვე ვემზადებით ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის. გადაწყვეტილი გვაქვს თვითეულ საფურაქე ძროხაზე მივიღოთ 1.400 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.000 ლიტრისა.

ყოველმა ჩვენგანმა თავისი სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობით შეიტყო, რომ საბჭოთა სახელმწიფომ მსოფლიოში პირველმა მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ. ჩვენი კოლმეურნეობის წევრები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ სასახელო შრომით თავიანთი წვლილი შეიტანონ მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ს. მუხაშავრია,
მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲜᲕᲐᲕᲘᲗᲐᲠᲝᲗ ᲡᲝᲘᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებში უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო აღმავლობა გამოიწვია სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებამ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ. პარტიის მიერ დასახული ბრძნული ღონისძიებები ახალი, წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში.

ამ ეტაპზე საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპს, ენერგიულად იბრძვიან მტს-ებიდან კოლმეურნეობებისათვის გადაცემული ტექნიკით საგაზაფხულო სამუშაოების ვადამდე მაღალი ხარისხით დამთავრებისათვის.

— ახლა, — განაცხადა თავის მოხსენებაში ნ. ს. ხრუშჩოვმა, — კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე დგას საგაზაფხულო თესვის ამოცანა. იმისათვის, რომ წარმატებით გადაიჭრას ეს ამოცანა, საჭიროა კიდევ უფრო ამაღლდეს კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შრომითი აქტივობა. ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს შემჭიდროებულ ვადებში დავამთავროთ საგაზაფხულო თესვა და ამასთან კარგი ხარისხით.

საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელების, კოლმეურნე მექანიზატორების გადაუდებელი ამოცანაა ამთავითვე ყველა პირობა შექმნან მეცხოველეობის განვითარების დარგში დასახული ღონისძიებების წარმატებით განხორციელებისათვის. ამიტომ აუცილებელია შევქმნათ მტკიცე საკვები ბაზა. მხოლოდ მრავალფეროვანი, მაღალი კვებითი ღირებულებისა და ცილებით მდიდარი საკვებით მივაღწევთ მეცხოველეობის მაღალ პროდუქტიულობას. მაგრამ ამ დარგში არსებული დიდი რეზერვები, შესაძლებლობანი ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული.

ბალახთესვის სუსტად განვითარებისა და დაბალი მოსავლიანობის გამო თივის რესურსები უკანასკნელ წლებში თითქმის ერთ დონეზეა. ყველა სახის საკვებიდან პროდუქტიული მეცხოველეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მწვანე საკვებს, რომელიც მდიდარია ადვილად მოსანელებელი ცილებით, ვიტამინებით და მინერალური მარილებით. კოლმეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქციის აღრიცხვა გვიჩვენებს, რომ რძის წლიური წველადობის 70 პროცენტზე მეტს, ცოცხალი წონის მატების დაახლოებით 65 პროცენტს და მატყლის ნაპარსის 70-მდე პროცენტს პირუტყვი იძლევა მწვანე საკვებით კვებისა და საძოვრული შენახვის პერიოდში.

საჭიროა ენერგიულად მოვკიდოთ ხელი მეცხოველეობის გაძღოლის პროგრესულ მეთოდებს და ამ მიზნით მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის, გარეუბნის, საგარეჯოს, ბოლნისის, საგარეუბნო ზონის სხვა რაიონებში ძროხები გადავიყვანოთ ბაგურ კვებაზე მთელი წლის განმავლობაში, ხოლო საძოვრებზე ყველგან ფართოდ შემოვიღოთ ბაგურ-ბანაკური შენახვა. აღსანიშნავია, რომ ამჟამად პირუტყვისა და ფრინველის საკვები რაციონი ცილების მხრივ ძლიერ ღარიბია. ცილა კი გადამწყვეტ როლს ასრულებს ცოცხალი ორგანიზმის განვითარების საქმეში. ცილა განსაკუთრებით ესაჭიროება მოზარდ პირუტყვს.

თუ რა დიდი დანაკლისია ცილების მხრივ საკვებ რესურსებში, ამას გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები: ხორბლის და ქერის ნამჯის ერთი საკვები ერთეული ცილას შეიცავს მხოლოდ 24-30 გრამს, სიმინდის ჩალისა — 40 გრამს. მაგრამ ბუნებრივი თივის ერთი საკვები ერთეული შეიცავს 65-85 გრამს, ცერცველა-შვრიის ნარევის თივა — 100-115 გრამს, სოიის თივა —140 გრამს. ამრიგად, საკვები ბაზის გაფართოების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ყუათიანი, ცილებით მდიდარი კულტურების თესვა.

მაგრამ, სამწუხაროდ, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში სერიოზული ყურადღება არ ექცევა საგაზაფხულო ცერცველას, ბარდას, სოიის და სხვა ყუათიანი საკვების თესვას, ზოგან კი კოლმეურნეობებმა ამ კულტურების მოყვანაზე ხელი აიღეს. ზემოთაღნიშნული კულტურებიდან პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სოიას. ჩვენს რესპუბლიკაში ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ დიდად გაფართოვდეს სოიის წარმოება. სოიის თვითეული მარცვალი შეიცავს 35-45 პროცენტ ცილას, 16-20 პროცენტ ცხიმს. იგი ცილების შემცველობით ოთხჯერ აღემატება სიმინდსა და ქერს.

ცნობილია, რომ სიმინდისა და სოიის ნარევის სასილოსე მასას ორჯერ მეტი ცილები აქვს, ვიდრე სიმინდის სილოსს. სოიის მწვანე მასა და თივა ცილებისა და სხვა საყუათო ნივთიერებების შემცველობით იონჯასა და სამყურას არ ჩამოუვარდება. სოია სიმინდთან შერევით — ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მწვანე კონვეიერის მოსაწყობად. ყვავილობის დასაწყისში აღებული სოია მნიშვნელოვანი ნედლეულია თივის ფქვილის დასამზადებლად.

უკანასკნელ წლებში შეიქმნა კომბინირებული საკვების მრეწველობა, რომელიც წელს დაამზადებს სულ ცოტა 150 ათას ტონა საკვებს. ამჟამად კომბინირებული საკვების წარმოების შემაფერხებელ მიზეზს ცილოვანი საკვების ნაკლებობა წარმოადგენს. ამიტომ აუცილებელია ყოველი ღონისძიებით შემდგომ განვავითაროთ სოიის კულტურა, როგორც ცილოვანი საკვები რესურსების შევსების დიდმნიშვნელოვანი წყარო.

სოიის წარმოებას დიდი ხანია მისდევენ დასავლეთ საქართველოს რაიონებში, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებს მეცხოველეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ეს განსაკუთრებით მწავავედ იგრძნობა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში. ამიტომ სოიის კულტურა ფართოდ უნდა დაინერგოს აღმოსავლეთ საქართველოში, უმთავრესად იმ რაიონებში, რომლებსაც სარწყავი და საკმაოდ ტენიანი ფართობები აქვთ. იგი უნდა დაითესოს როგორც სიმინდში შეთესვით, ისე სუფთა სახით, აგრეთვე მეორე მოსავლის მისაღებად — ნაწვერალზე.

საგულისხმოა ასეთი ფაქტი: 1951 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში შეზიდულ იქნა სოიის სათესლე მასალა საწარმოო მიზნით სიმინდში შესათესად. თელავის რაიონის სოფლების ნაფარეულის, ფშავლის, ლალისყურის, ყვარლის რაიონის სოფელ შილდის და სხვა კოლმეურნეობებში სოიის კულტურა კარგად განვითარდა, მწვანე მასის და მარცვლის უხვი მოსავალი მოგვცა. უკვე დადასტურებულია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში სოიის მოყვანა უდავოდ მიზანშეწონილია. იგი კარგ შედეგს იძლევა სიმინდში შეთესვით. ასეთ შემთხვევაში სიმინდისა და სოიის მცენარეები უკეთესად იყენებენ საკვებ ნივთიერებას. ამასთან ერთად შერეული, შემჭიდროებული ნათესი უფრო ნაკლებად ზიანდება მავნებლებისაგან და სოკოვან დაავადებათაგან. სიმინდში შეთესილი სოია თავს კარგად გრძნობს, იძლევა უხვ მოსავალს, უფრო დაცულია ქარებისაგან. მთავარი ის არის, რომ სოიის შეთესვით სიმინდის მოსავალი არა მცირდება, ორივე მაღალ მოსავალს იძლევა.

სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვის დროს სავსებით შესაძლებელია ბუდნაში სოიის ჩათესვა. მისი მაღალი მოსავლიანობა დამოკიდებულია აგროტექნიკაზე და ჯიშების შერჩევაზე. საერთოდ სოიის თესვა-მოყვანის დროს ნიადაგის დმოზადება, დამუშავება იმავე წესით უნდა მოხდეს, როგორც სიმინდისათვის. ვინაიდან წელს შეუძლებელი ხდება შესაფერისი ჯიშების შერჩევა, დასათესად უნდა გამოვიყენოთ გურულ-მეგრული, იმერული ჯიშების სოია, პირველ რიგში კი იმერული სოია. კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი სიმინდის ერთ ბუდნაში უნდა შევინარჩუნოთ 2 ძირი სიმინდი და ერთი ძირი სოია. ჩვეულებრივად მწკრივად თესვის შემთხვევაში ჰექტარზე საკმარისია 7-8 კილოგრამი სოიის თესლი, სასილოსედ — 12-15 კილოგრამი; ნაწვერალზე თესვის დროს ნორმები იგივე რჩება.

სოიის კულტურის ფართოდ დანერგვის მიზნით დიდი მნიშვნელობა ექნება შრომის ანაზღაურების დარგში წამახალისებელი ღონისძიების განხორციელებას. ჩვენი აზრით, კარგი იქნება რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობების გამგეობებს, რომ სოიის მარცვლისა და მწვანე მასის მოსავლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით გასცენ კოლმეურნეებს გეგმის გადამეტებით მიღებული მოსავლის 50-70 პროცენტი.

მალე მასობრივად გაჩაღდება საგაზაფხულო თესვა. ამიტომ ამთავითვე სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ სოიის თესვის დავალების უთუოდ შესრულებას. სოიის სათესლე მარაგი საშუალებას იძლევა წელს აღმოსავლეთ საქართველოს 21 რაიონში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სოია დავთესოთ 18.000 ჰექტარზე. ამ მიზნით ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით რაიონებისათვის გამოყოფილია სათესლე სოია. საჭიროა პურპროდუქტების მთავარმა სამმართველომ თავისი ბაზებისა და პუნქტების საშუალებით სწრაფად შეზიდოს რაიონებში სოიის თესლი და გადასცეს კოლმეურნეობებს. დროზე უნდა უზრუნველვყოთ გამოყოფილი სათესლე მასალის ათვისება და სიმინდთან ერთად სოიის მაღალი ხარისხით თესვა.

იმის გამო, რომ წელს აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ფართო მასშტაბით პირველად ინერგება სოიის კულტურა, აუცილებელია ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა, სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა მშრომელებს აუხსნან სოიის დიდი მნიშვნელობა და მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ კულტურის განვითარებას. კოლმეურნეობებმა წელსვე უნდა შექმნან ყველა პირობა იმისათვის, რომ დაამზადონ იმდენი სათესლე მასალა, რაც მთლიანად საკმარისი იქნება მომავალ წელს თესვისათვის.

ფართოდ განვავითაროთ ძვირფასი კულტურა — სოია, ამით გავადიდოთ ყუათიანი, ცილოვანი საკვები რესურსები და ახალ აღმავლობას მივაღწიოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებაში.

ვ. მირიანაშვილი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე.

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადამ ჩაიარა როგორც ძმობისა და მეგობრობის დიდმა დღესასწაულმა

★ ★ ★

შექსპირული სპექტაკლი

შექსპირის ისტორიული ქრონიკის ჟანრის პიესები შედარებით იშვიათად იდგმება საბჭოთა სცენაზე. ამიტომ გასაგებია ის განსაკუთრებული ინტერესი, რომლითაც მოსკოველები ელოდნენ ერთ-ერთ სადეკადო სპექტაკლს — „რიჩარდ მესამეს“.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა მთლიანად გაამართლა მეგობართა იმედები. მოსკოველებმა ნათელი, დასამახსოვრებელი, ჟეშმარიტად შექსპირული სპექტაკლი ნახეს. თეატრის კოლექტივს დიდი შემოქმედებითი გამბედულებით უმუშავნია პიესაზე. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა ნამდვილად დაამტკიცა, რომ შექსპირის ისტორიულ ქრონიკებს სცენიური ცხოვრების სრული უფლება აქვს, რომ „რიჩარდ III“ ინგლისის ისტორიის ერთ-ერთი პერიოდის უბრალო დრამატული ილუსტრაცია კი არ არის, არამედ დიდი პრობლემატური პიესა, რომელშიც ნათლად ჩანს შექსპირის ჰუმანიზმი, მისი ზიზღი ბოროტების, პირმოთნეობისა და ვერაგობისადმი და სამართლიანობის საბოლოო გამარჯვების რწმენა. თეატრის მიერ მოპოვებული წარმატების საიდუმლოება შექსპირის შთანაფიქრის ღრმად გაგებაში მდგომარეობს. სპექტაკლის დამდგმელმა ვ. ყუშიტაშვილმა შეძლო გადმოეცა ის ტრაგიკული, პირქუში გარემო, რომელშიც რიჩარდ მესამემ სიცრუის, ძალმომრეობის, სისხლიანი ბოროტმოქმედების გზით ხელში ჩაიგდო ტახტი და ყველას მიერ მიტოვებული და შეჩვენებული იმავე გზით ცდილობს შეინარჩუნოს ძალაუფლება.

სპექტაკლის პირქუში, მრისხანე ატმოსფეროს შექმნაში, რომელშიც მხოლოდ ერთხელ შეიჭრება იმედის სხივი რიჩარდ მესამის დამმარცხებელ რიჩმონდთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სპექტაკლის დეკორაციულ გაფორმებას, რაც მხატვარ ი. სუმბათაშვილის ფაქიზ გემოვნებასა და ოსტატობას ადასტურებს. სცენაზე იგი არაფერი არ არის ზედმეტი, იგი არაფრით არ არის გადატვირთული. მიუხედავად ამისა, შავი ხავერდისა და მცირერიცხოვანი, მაგრამ მეტყველი დეტალების ერთმანეთთან ოსტატური შეხამება მკაფიოდ გადმოსცემს იმ საშინელ ატმოსფეროს, სიმახინჯეს, რომლის მეოხებითაც რიჩარდი თავის სისხლიან ბლაბუდას აბამს. მხატვრულ გაფორმებასთან ერთად სპექტაკლის განუყოფელ კომპონენტად გვევლინება კ. მელვინეთ-უხუცესის მუსიკა, რომელიც დიდად უწყობს ხელს სპექტაკლის ემოციურ აღქმას. შექსპირის ამ პიესაში განსაკუთრებით დიდია როლი მთავარი გმირისა, რომელიც მოქმედების განვითარების ძირითად ღერძად გვევლინება და ამავე დროს რთული შექსპირული ხასიათია. ამიტომ ძირითადად მთავარი როლის შემსრულებელზეა დამოკიდებული მთელი პიესის წარმატება. მხოლოდ დიდ მსახიობს შეუძლია დასძლიოს რიჩარდ მესამის როლი.

თეატრმა იპოვნა ასეთი მსახიობი. ეს ვ. გოძიაშვილია, რომლის ღრმად დაფიქრებულმა, დახვეწილმა, მრავალმხრივმა თამაშმა ნამდვილი ცხოვრებისეული სიმართლით აღავსო სპექტაკლი. ვ. გოძიაშვილის შესრულებით რიჩარდი ბოროტი ადამიანია, რომელიც თავისი სიძლიერის გამო განსაკუთრებით საშიში ხდება. მეტად გამომსახველია ვ. გოძიაშვილის რიჩარდის გარეგნული სახე: იგი უშნოა, მახინჯი და მაყურებელი მაინც გრძნობს მის დაუშრეტელ ენერგიას, მიმართულს ხელისუფლების დაპყრობისაკენ.

ვ. გოძიაშვილი განსაკუთრებით ძლიერად ატარებს ლედი ანას მოხიბვლის სცენას. იგი პოულობს მახვილ ხერხებს თავისი გმირის პირმოთნეობის მხილებისათვის.

რიჩარდის სიკვდილი თეატრის მიერ გააზრებულია არა როგორც შემთხვევითი სამხედრო შეტაკების, არამედ როგორც ტრაგიდიის კანონზომიერი განვითარების შედეგი: თავისი დიდი ძალის მიუხედავად, გლოსტერი ღრმა შინაგან კრიზისამდე მიდის. ამ კრიზისის ჩვენებისათვის დამდგმელმა და მსახიობებმა ორი ერთმანეთის მსგავსი სცენის საინტერესო კონტრასტი მონახეს. პირველ სცენაში გლოსტერი ხელს სთხოვს ანას. აიძულებს მას დათანხმდეს. მეორეში კი დედოფალ ელისაბედს სთხოვს ცოლად გააყოლოს ქალიშვილი. გლოსტერი ამ სცენაშიც გარეგნულად დაჯერებული ჩანს. მაგრამ შედეგს ვეღარ აღწევს. ამ შემთხვევაში გლოსტერი ელისაბედზე სუსტია. ამ სცენის ასეთი გაგება შუქს ჰფენს შექსპირის შეანიშნავ ჰუმანისტურ აზრს იმის შესახებ, რომ მტარვალობისა და ბოროტმოქმედების გზაზე დამდგარი ადამიანი უეჭველად იფიტება სულიერად, რაც მისი უცილობელი დაღუპვის მომასწავებელია.

ერთადერთი, რაც შეიძლება ვუსაყვედუროთ ვ. გოძიაშვილს, ის არის, რომ ზოგჯერ იგი მეტისმეტად ამსახიობებს რიჩარდს.

ცალკეული როლების შესრულება მოწმობს მსახიობთა დიდ მისწრაფებას მონახონ ინდივიდუალური ხასიათი ყოველი პერსონაჟისათვის. ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა გვინდა აღვნიშნოთ ქალთა როლების შემსრულებლები.

თეატრმა შეძლო მოენახა საჭირო ფერები, რომლებმაც შეავსეს და გააფართოეს ამ პერსონაჟების შექსპირული გააზრება მათი ერთმანეთისაგან განმასხვავებელი თვისებების გამოყოფის ხარჯზე.

მაგალითად, ე. ვაჩნაძეს „მძვინვარე ფურიის“ პლანში მიჰყავს დედოფალ მარგარიტას როლი. ხოლო მის საწინააღმდეგოდ ს. თაყაიშვილი ქმნის ბოროტი შვილის ყოლით საგონებელში ჩავარდნილი დედის ტრაგიკულ სახეს. ერთმანეთის მიმართ კონტრასტული ხასიათებია ელისაბედი (ნ. აფაქიძე) და ანა (მ. ჯაფარიძე).

ბევრი საინტერესო რამ შეიქმნა სპექტაკლში მამაკაცთა როლების შემსრულებლებსაც — ვ. ნინუას, დ. ოქროსცვარიძეს, კ. დაუშვილს, ტ. საყვარელიძეს და სხვ.

„რიჩარდ მესამე“ შექსპირის ერთ-ერთი ყველაზე გრძელი ნაწარმოებია, პიესაში 3.600-მდე სტრიქონია. სავსებით კანონზომიერია, რომ თეატრი წავიდა ტექსტის შემცირებასა. მისი ცალკეული სცენების კონცენტრირებასა და ზოგიერთ სხვა ცვლილებებზე. მაგრამ თუ ამ ცვლილებებმა შედარებით ნაკლებად იმოქმედეს სახეთა უმრავლესობაზე, სამაგიეროდ რიჩმონდის სახეს ამის გამო ბევრი რამ დაკარგა. თეატრმა არ დაგვანახვა რიჩმონდი რიჩარდთან გადამწყვეტი შეტაკების წინ და ამის შედეგად რიჩარდის მთავარმა მოწინააღმდეგემ დაკარგა თავისი ბრწყინვალება, ვერ შეძლო გამოჩენილიყო ფინალში, როგორც ნათელი გმირი, რომელსაც თან მოაქვს ტირანიისაგან განთავისუფლება, სამართლიანობისა და ჰუმანიზმის გამარჯვება.

სამწუხაროდ, ფინალური სცენაც ისეა შეცვლილი, რომ რიჩმონდი ერთგვარად კარგავს გამარჯვებულის შარავანდედს. ამ სცენის ტრადიციული დადგმის მაგვარად, რომლის მიხედვით რიჩმონდი კლავს რიჩარდს ორთაბრძოლაში, სპექტაკლში რიჩარდს კლავენ რიჩმონდის მეომრები.

ჩვენი აზრით, გაუმართლებელი იყო აგრეთვე სცენების გადაადგილება პირველ მოქმედებაში, რის შედეგად რიჩარდი სცენაზე გამოსვლისთანავე იძულებულია ითამაშოს მეტისმეტად ძნელი როლი — მოიპოვოს ანას ხელი. რიჩარდის კლარენსთან და ბრაკენბერისთან შეხვედრის სცენა რომ ყოფილიყო ნაჩვენები ანასთან შეხვედრამდე, მაყურებლისათვის უფრო გასაგები იქნებოდა თვით რიჩარდი და მისი ძლიერება, რაც ანას იძულებულს ხდის ეღალატოს მოკლული ქმრის ხსოვნას. გარდა ამისა, რიჩარდისა და ანას სცენიდან ამოღებულია სამგლოვიარო პროცესია. ამიტომ ამ სცენამ დაკარგა დინამიკურობა, სტატიკური გახდა.

მაგრამ სპექტაკლის ეს ნაკლოვანებანი წვრილმანია, რაც არა ცვლის სპექტაკლის გრანდიოზულ ყღერადობას მთლიანად. მაყურებელი საუკეთესო შემფასებელია, მან კი აღტაცებით მიიღო ეს სპექტაკლი. მაყურებელთა დარბაზის ცოცხალი რეაქცია საუკეთესო და მკაფიო დადასტურებაა მარჯანიშვილის თეატრის მიერ დადგმული ამ ჟეშმარიტად შექსპირული სპექტაკლის სიძლიერისა და მნიშვნელობისა.

ი. შვედოვი,
შექსპიროლოგი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი.

★

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი ზრდა

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დროს მოსკოვში მოხდა საქართველოს მწერალთა 120-ზე მეტი გამოსვლა. ათასობით ადამიანი გაეცნო ჩვენი რესპუბლიკის პროზაიკოსების, პოეტების, დრამატურგების, საბავშვო მწერლების შემოქმედებას. მოკავშირე რესპუბლიკების ასზე მეტმა მწერალმა, აგრეთვე დედაქალაქის ლიტერატორებმა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა მათ ნაწარმოებთა განხილვაში.

ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში 2 აპრილს გაიმართა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა, სადაც განიხილეს ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის ლიტერატურული ნაწილის შედეგები.

გახსნა რა სხდომა, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ა. სურკოვმა მხურვალე სალმის სიტყვებით მიმართა ქართველ თანამოკალმე ამხანაგებს და მიულოცა მათ შესანიშნავი წარმატებანი. მან აღნიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის კულტურის ფრონტის მოღვაწეებმა მოსკოვში ჩამოიტანეს ღირსშესანიშნავი ლიტერატურა და მშვენიერი ხელოვნება. ქართველ მწერალთა შემოქმედების განხილვამ, ქართული კულტურის მიღწევების დთვალიერებამ მაღალ დონეზე ჩაიარა. მასში მონაწილეობდნენ მთელი ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურისა და კულტურის წარმომადგენლები.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ი. აბაშიძემ გულითადი მადლობა გადაუხადა მოსკოვისა და მოძმე რესპუბლიკათა ლიტერატორებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მოწყობაში. მან მადლობა გადაუხადა აგრეთვე მოსკოვის გამომცემლობებს, რომლებმაც სპეციალურად დეკადისათვის გამოსცეს ქართველ ავტორთა ათობით წიგნი.

სხდომაზე გამოვიდნენ უკრაინის საბჭოთა მწერლების გამგეობის თავმჯდომარე მ. ბაჟანი, მწერლები პ. სკოსირევი, ს. კირსანოვი, პ. ანტოკოლსკი, რომლებმაც აღნიშნეს დეკადის მაღალი იდეური და მხატვრული დონე.

მწერლებმა კ. გამსახურდიამ, დ. შენგელაიამ, ბ. ჟღენტმა, გ. მარგველაშვილმა, გ. მდივანმა და სხვებმა მადლობა გადაუხადეს მოსკოველ მწერლებსა და ლიტერატორებს დიდმნიშვნელოვანი მეგობრული შენიშვნებისათვის და აღნიშნეს, რომ ისინი დაეხმარებიან მათ მშობლიური ლიტერატურის ახალ აღმავლობაში.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის.

მ. მრევლიშვილის პიესების კრებული რუსულად

საბჭოთა მაყურებლისათვის კარგად ცნობილია დრამატურგ მიხეილ მრევლიშვილის პიესები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მრავალ თეატრში იდგმება. საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“ რუსულ ენაზე გამოსცა და ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადისათვის მოსკოვში გაგზავნა მიხეილ მრევლიშვილის პიესების კრებული.

კრებულში შეტანილია შემდეგი პიესები: „ზვავი“, „ხარატაანთ კერა“, „მგზნებარე მეცნენები“, „ბედი მგოსნისა“ (ბარათაშვილი), რომელთა თარგმანები შესრულებულია პეტრე დიომინის, ნატალია კონჩალოვსკაიას, მალიკო მრევლიშვილისა და ალექსანდრე კოჩეტკოვის მიერ.

წიგნს წამძღვარებული აქვს ბიოგრაფიული ცნობები ავტორის შესახებ. კრებულის რედაქტორია გ. ბებუთოვი, მხატვარი ი. რაზმაძე. ტირაჟი — 3.000, ფასი 10 მან. 30 კაპ.

სასიხარულო მოვლენა ბალეტში

რა სასიხარულოა, როცა სცენაზე ხედავ მკაფიო სპექტაკლებს, მსახიობთა მკაფიო ინდივიდუალობებს, შესანიშნავ მხატვარს, რეჟისორის ფანტაზიას და ჩინებულ კომპოზიტორს, ხედავ სპექტაკლებს, სადაც ყველაფერი ორგანულად შერწყმულია ერთ მთლიანობად.

ასეთი სიხარული განმაცდევინა ა. მაჭავარიანისა და ვ. ჭაბუკიანის მიერ შექმნილმა ბალეტმა „ოტელომ“. არ შემიძლია მას მარტო ბალეტი ვუწოდო. შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ეს არის მეტად მკაფიო პანტომიმა, რომელმაც გადმოგვცა ოტელოს ტრაგედია. მე გამიტაცა ამ სპექტაკლმა და დიდხანს ვიყავი მისი შთაბეჭდილებით.

სპექტაკლში ცენტრალურ როლს ასრულებს ვ. ჭაბუკიანი. ეს საინტერესოა, რადგან არ მახსოვს, რომ ბალეტში წამყვანი პარტია ბალერინასი არ ყოფილიყო. ვ. ჭაბუკიანი საუცხოოდ ასრულებს ამ როლს, განასახიერებს ამ ამაღელვებელ სახეს. მე ვფიქრობ, ნაწარმოებს რომ არც კი იცნობდე, შეგიძლია ყველაფერს მიხვდე. მე თითქმის ზეპირად ვიცი ეს ტრაგედია, და იყო მომენტები, როცა მეჩვენებოდა, რომ მესმოდა ოტელოს კვნესა და სიტყვები, იმდენად გამომსახველია ყოველივე ის, რასაც ვ. ჭაბუკიანი აკეთებს. მსახიობს უდიდესი მუშაობა გაუწევია, და ეს მუშაობა დიდი გამარჯვებით დაგვირგვინდა.

დეზდემონას როლის შემსრულებელი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. წიგნაძე მეტად ნაზი და მომხიბვლელია ამ როლში. იაგოს მკაფიო სახე შექმნა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ზ. კიკალეიშვილმა.

მინდა მივულოცო თეატრის მთელ კოლექტივს და ყველა შემსრულებელს ბრწყინვალე სპექტაკლი, ბედნიერი აზრი, რომელიც მოსვლია ლიბრეტოს ავტორს ვ. ჭაბუკიანს. ეს ახალია და შესანიშნავი.

ვუსურვებ ძვირფას ამხანაგებს შემდგომ წარმატებას.

ა. ტარასოვა,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ქართული კინოფილმების განხილვა

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დროს მოსკოვში მოეწყო თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოფილმების ფესტივალი. კინოს სახლში პარალელურად ამართებოდა ფესტივალზე წარმოდგენილი კინოსურათების გასინჯვა და განხილვა.

1 აპრილს საღამოს კინოს სახლში მოსკოვის თვალსაჩინო კინომუშაკებისა და საქართველოდან ჩასული სტუმრების თანდასწრებით შეჯამებულ იქნა ქართული კინემატოგრაფიის უკანასკნელი წლების მიღწევები. განხილვის დროს კინოსურათები გაარჩიეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა კინორეჟისორმა მ. რომმა, კინოდრამატურგებმა მ. პაპავამ, ა. სპეშნევმა, ვ. კრეპსმა, კინოდოკუმენტალისტმა ბ. ნებილიცკიმ, კინომსახიობმა ვ. სანაევმა, მულტიპლიკაციური ფილმების რეჟისორმა დ. ბაბიჩენკომ. მათ აღნიშნეს ქართული კინემატოგრაფიის საერთო აღმავლობა, გამოშვებული ფილმების ხარისხისა და რაოდენობის შესამჩნევი ზრდა.

მაღალი შეფასება მიიღეს სურათებმა „საბუდარელი ჭაბუკი“ და „ოთარაანთ ქვრივი“. ილაპარაკეს წარმატებაზე, რომელიც ფესტივალის დროს ჰქონდა სურათებს „ჩვენი ეზო“, „მაგდანას ლურჯა“, „აბეზარა“, „ქალის ტვირთი“.

ორატორებმა აღნიშნეს სრულმეტრაჟიანი ფერადი დოკუმენტალური ფილმის „საბჭოთა საქართველოს“ წარმატება. მოწონებულ იქნა აგრეთვე დოკუმენტალური სურათები „შვიდი მწვერვალის იერიში“, „მოსკოვის პიკის იერიში“, მულტიპლიკაციური ფილმები „ხელმარჯვე ოსტატი“ და „ჩხიკვთა ქორწილი“.

განხილვის დროს აღინიშნა კინორეჟისორთა მუშაობის მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

დასასრულ გამოვიდა რეჟისორი ს. დოლიძე, რომელმაც მოსკოველ კინომუშაკებს მადლობა გადაუხადა სასარგებლო რჩევისათვის. (საქდესი).

★ ★ ★

მახარაძელთა თაოსნობის პასუხად
გავაძლიეროთ სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა

★ ★ ★

იცვლება სოფლის სახე



ვინ მოთვლის, წარსულში რამდენი აოხრებისა და ტანჯვის მომსწრეა ქიზიყი — საქართველოს ეს თვალწარმტაცი და დოვლათიანი კუთხე. სიღატაკე, უუფლებობა და უმეცრება მუდამ თან სდევდა წითელწყაროელ გლეხს. მაგრამ ოქტომბრის მზემ ქიზიყშიც შემოანათა და თავისუფალი ცხოვრების, შემოქმედებითი შრომის დიადი უფლებები მოუპოვა ხალხს.

ვისაც რამდენიმე წლის წინათ უნახავს წითელწყაროს რაიონი, მისი სოფლები, დღეს ველარც იცნობს მას. კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებამ, რომელთა განუყოფელი ფონდი 55 მილიონ მანეთს შეადგენს, ფულადი და ნატურალური ანაზღაურების ზრდამ მკვეთრად აამაღლა კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა, სახე უცვალა სოფლებს.

თუ რევოლუციამდე რაიონში არც ერთი საშუალო სკოლა არ იყო, დღეს აქ 26 საშუალო, შვიდწლიანი და დაწყებითი სკოლაა. მომავალი თაობის კომუნისტურ აღზრდას ემსახურება 400-მდე მასწავლებელი. რაიონის კოლმეურნეობებში, ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში, საწარმო-დაწესებულებებში მუშაობს სხვადასხვა პროფესიის 500-ზე მეტი სპეციალისტი უმაღლესი განათლებით.

დღითიდღე მშვენიერდება და კეთილმოწყობილი ხდება რაიონის ცენტრი. მარტო უკანასკნელი 3 წლის მანძილზე რაიონის ცენტრის კეთილმოწყობაზე 4.800 ათასი მანეთი დაიხარჯა. მოასფალტდა ქუჩები და ტროტუარები 2 ათას კვადრატულ მეტრზე, დაირგო 6 ათასი დეკორაციული მცენარე და ხეხილი, გაყვანილ იქნა ახალი ფართო ქუჩები, რომლებსაც ამშვენებენ კეთილმოწყობილი ორსართულიანი სახლები. აშენდა 5 ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის სასარგებლო ფართობი 1.404 კვადრატულ მეტრს უდრის. რაიონის ცენტრს ემატება ახალი კაპიტალური შენობები, როგორიც არის საზამთრო კინოთეატრი, საშუალო სკოლა და მუშამოსამსახურეთა რვაბინიანი საცხოვრებელი სახლი. წელს დაიწყება სარაიონო კულტურის სახლის მშენებლობა, რაზეც ორ მილიონამდე მანეთი დაიხარჯება.

რაიონის სოფლები დამშვენდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობებით, კოლმეურნეთა ორსართულიანი სახლებით. უკანასკნელი 4 წლის მანძილზე აგებულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების 30 შენობა, მათ შორის 3 კულტურის სახლი, 8 კლუბი, 5 სასოფლო საავადმყოფო, აფთიაქი და ამბულატორია. ამ სამუშაოთა შესასრულებლად დახარჯულია 13.250 ათასი მანეთი. მკვეთრად გაიზარდა სამედიცინო პერსონალის რაოდენობა. თუ რევოლუციამდე რაიონში მხოლოდ ერთი ექთანი იყო, დღეს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება 53 ექიმი, 146 ექთანი და სამედიცინო პერსონალის სხვა მუშაკი. საკოლმეურნეო შრომაში ჭალთა აქტიურად ჩაბმის მიზნით აშენდა 5 საბავშვო ბაღი და ბაღი. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელი.

სახე იცვალა სოფელმა ჯაფარიძემ. ძველთან ქომბალებით, ტალახით დაფარული, ჩაბნელებული სოფელი დღეს ილიჩის ნათურებით არის განათლებული. სოფელი მთლიანად რადიოფიცირებული და ტელეფონიზებულია. მძლავრმა კოლმეურნეობამ, რომლის განუყოფელ ფონდში ათასნახევარი მილიონი მანეთია, მარტო უკანასკნელი სამი წლის მანძილზე თავისი სახსრებით ააგო 600-ადგილიანი კულტურის სახლი, სასოფლო ბიბლიოთეკა, მაღაზია, შვიდწლიანი სკოლა, ელექტროწისქვილი, აგურ-კრამიტის ქარხანა, მეცხოველეობის ფერმების მუშაკთა 3 ბინა, საექიმო უბნის შენობა და გამოიყვანა მძლავრი წყალსადენი. ამ სამუშაოებზე კოლმეურნეობამ 3 მილიონ მანეთზე მეტი გაიღო.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის სამი წლის მანძილზე 5 მილიონი მანეთი გაიღო სოფელ ზემო მაჩხანის ტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. მამაიაშვილი ხელმძღვანელობს. სოფლის ცენტრს ამშვენებს კულტურის სახლის შესანიშნავი შენობა, რომლის აგებაზე კოლმეურნეობამ 1,5 მილიონი მანეთი დახარჯა.

თანდათან კეთილმოწყობილი ხდება ძველ ნახოფლარზე აღორძინებული სოფელი გამარჯვება. ამ სოფლის კოლმეურნეობა, რომლის განუყოფელ ფონდში 5 მილიონ მანეთზე მეტია, ყოველწლიურად დიდძალ სახსრებს ხარჯავს კულტურული მშენებლობისათვის. აქ შენდება და მალე გადაეცემა საექსპლოატაციოდ 600-ადგილიანი საკოლმეურნეო კულტურის სახლი, რაზეც 1,5 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

რაიონის მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით გამოეხმაურნენ მახარაძელთა თაოსნობას და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ახალი ღონისძიებანი დასახეს. ეს ღონისძიებანი ახახულია წითელწყაროს რაიონის კულტურული და საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმაში, რომელიც გასული წლის ნოემბერში დაამტკიცა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესიამ.

ამ გეგმით კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის გამოყოფილია 51.886 ათასი მანეთი, აქედან 17.810 ათას მანეთს თავიანთი განუყოფელი ფონდებიდან გაიღებენ კოლმეურნეობები, თავიანთი შემოსავლიდან 4.293 ათას მანეთს — კოლმეურნეები; ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა გაიღებს 3.950 ათას მანეთს, დაწესებულებები და ორგანიზაციები— 15.635 ათას მანეთს, ხოლო რაიხაბჭოს აღმასკომის ბიუჯეტიდან გაღებული იქნება 10 მილიონი მანეთი.

გეგმაში გათვალისწინებულია 3 წელიწადში აიგოს 7 ხასკოლო შენობა, 2 კულტურის სახლი, 3 კლუბი, 9 საბავშვო ბაღი და ბაღი, 6 მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლი, 7 აბანო, 9 სასპორტო მოედანი, 2 სასოფლო საავადმყოფო, 2 სამოცადგილიანი მოხუც კოლმეურნეთა სახლი. სოფლების რადიოფიცირებაზე, ელექტროფიკაციასა და ტელეფონიზაციაზე, კულტურის პარკების, ხეკერების, სასპორტო მოედნების მშენებლობაზე, გზების კეთილმოწყობაზე დაიხარჯება 16.660 ათასი მანეთი.

ვალდებულებები ითვალისწინებს ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, გეგმის განხორციელებაში რაიონის მთელი აქტივის, ახალგაზრდობის, მუშა-მოსამსახურეების ფართოდ ჩაბმას.

სამწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება კიდევ უფრო მიმზიდველსა და კეთილმოწყობილს გახდის წითელწყაროს რაიონს, ჩაიყენებს მას ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე სახოფლო რაიონების რიგებში.

ჯ. ხვადაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

ს ურ ა თ ს ე ბ ი: წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის კულტურის სახლი.

★ ★ ★

სინათლე მთაში

უმეცრება და სიღატაკე ტანჯავდა წინათ მთელ კაცს. ყაზბეგის მთელ რაიონში სულ 8 დაწყებითი სკოლა იყო, სადაც სწავლის მიღება მხოლოდ სოფლის ბოძოლების შვილებს შეეძლოთ. მაგრამ გავიდა დრო, დაიწყო ახალი ერა. მთაშიც მიაღწია ოქტომბრის შუქმა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში უდიდესი ცვლილებები მოხდა მშრომელთა ცხოვრებაში. ახლა ყაზბეგში 3 საშუალო, 21 დაწყებითი და 5 შვიდწლიანი სკოლაა. რაიონის მშრომელებს ემსახურება მასობრივი ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, კულტურის სახლი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კინოთეატრი, სამი საავადმყოფო, პოლიკლინიკა, ამბულატორია, საექიმო უბნები და ა. შ. საკოლმეურნეო სოფლები კეთილმოწყობილი და ლამაზი გახდნენ.

უაღრესად მნიშვნელოვანი ცვლილებებია რაიონის კოლმეურნეობათა ეკონომიკაში, რის შედეგად ამაღლდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. კოლმეურნეები უფრო შეძლებულად ცხოვრობენ. მთიელებს ახლა ნამდვილი კულტურული, განათლებული, შეძლებული ოჯახები აქვთ. ახლა აქაურ მშრომელებს ველარ აკმაყოფილებს სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის არსებული დონე. ამიტომ იყო, რომ ყაზბეგელები საქმიანად გამოეხმაურნენ მახარაძის რაიონის მშრომელთა მოწოდებას სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გაფართოების შესახებ. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა ყაზბეგის რაიონული საბჭოს სპეციალური სესია, რომელმაც მხარი დაუჭირა მახარაძელთა ინიციატივას, შეიმუშავა რაიონში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმა.

სამწლიანი გეგმის მიხედვით რაიონის ცენტრში და სოფლებში აიგება ბიბლიოთეკის შენობა, 8 ელექტროწისქვილი, 4 საკოლმეურნეო აბანო, 14 კილომეტრზე გაყვანილ იქნება წყალსადენის ხაზი; ბევრ სოფელში გაიყვანენ ტელეფონისა და რადიოს ხაზებს, მოეწყობა 2 სასკოლო სახელოსნო, აშენდება 7 ხიდი, აგრეთვე ჯებირები, აიგება 4 სკოლა, 2 კლუბი, 19 საცხოვრებელი ბინა მწყემსებისათვის. აშენდება აგრეთვე სასპორტო მოედნები, გაყვანილ იქნება ახალი გზები, მაღალი ძაბვის ელექტრობაზები და ა. შ. ამ მშენებლობაზე 2 მილიონ 29 ათასი მანეთი დაიხარჯება.

რაიონში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმის განუხრელად განხორციელებისათვის სასოფლო საბჭოს აღმასკომების, კოლმეურნეობათა გამგეობების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს დაეკალათ მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი რესურსები, საშენი ქვა და ქვიშა, ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე არსებული ალიზი და ლერწამი. ამასთან რაიონის ტერიტორიაზე ფართოდ გაიშლება ქვის კარიერების დამუშავება. მშენებლობა ძირითადად იწარმოებს ადგილობრივი მოსახლეობის ძალებით, მოსამსახურეებისა და ახალგაზრდობის შაბათობათა მოწყობით, რაიონის ყველა მშრომელის აქტიური მონაწილეობით.

სესიამ ურჩია კოლმეურნეობებს დამატებით შექმნან ახალი სამშენებლო ბრიგადები და ბრიგადის თვითეულ წევრს შეასწავლონ ორი-სამი სამშენებლო სპეციალობა, რათა ისინი მაქსიმალურად იქნან გამოყენებული წლის ყოველ დროს. სამწლიანი გეგმის განსახორციელებლად, სამშენებლო სამუშაოთა მიმდინარეობაზე კონტროლისა და ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად სესიამ რაიხაბჭოსთან შექმნა ახალი მუდმივი კომისია — კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის კომისია. ასეთი კომისიები ყველა სასოფლო საბჭოსთან შეიქმნება.

სულ უფრო კეთილმოწყობილი და კულტურული ხდება ჩვენი სოფლები და ქალაქები. განუხრელად მაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, მათი კულტურული მოთხოვნილების დონე. ყაზბეგელმა კოლმეურნეებმა ერთსულოვნად მოიწონეს მახარაძის რაიონის მშრომელთა ინიციატივა და მტკიცედ გადაწყვიტეს სამ წელიწადში კიდევ უფრო ლამაზი, კეთილმოწყობილი და მიმზიდველი გახადონ თავიანთი სოფლები, შექმნან ისეთი კულტურულ-საყოფაცხოვრებო კერები, რომლებიც დააკმაყოფილებენ თანამედროვე კულტურული საბჭოთა ადამიანის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ა. ხუჯუა,
ბ. ჩიქვინიძე.

ესტონელი ფეიერვერკები თბილისში

ესტონელ და ქართველ ფეიერვერკთა შორის საქმიანი, მეგობრული კავშირის დასამყარებლად, სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გასაფორმებლად თბილისში ჩამოვიდა ტალინის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის „პუნანე კოიტის“ კოლექტივის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიან პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ა. შულცი, საქსოვი საამქროს მოწინავე ოსტატი ე. კივი და ფაბრიკის კადრების განყოფილების უფროსი ლ. ტოოდუ.

ესტონელი ფეიერვერკები იყვნენ თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში, დაათვალიერეს საამქროები, გაეცნენ კოლექტივის საქმიანობას, ესაუბრნენ წარმოების მოწინავეებს. თბილისელებმა მხურვალედ მოიწონეს ტალინელ თანამოსაქმეთა თაოსნობა და ჩაებნენ მათთან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

თბილისისა და ტალინის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკების კოლექტივების მეგობრობას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა. ესტონელთა მიწვევით თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მხატვრული თვითმოქმედების ძალები მონაწილეობას მიიღებენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკათა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების

ისტორიული წვლილი მშვიდობის საქმეში

უცხოეთის გამოხმაურება სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებზე

უცხოეთის პრესა კვლავ გაცხოველებით უკეთებს კომენტარს სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ალბანეთის გაზეთი „ზერი ი პოპულიტი“ აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებანი ემსახურებიან კომუნიზმის მშენებლობის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მაღალ მიზანს.

ბულგარეთის გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ წერს: და კვლავ ჩვენი პლანეტის ასეულ მილიონობით ადამიანის ფიქრები და თვალი ღრმა მადლიერებით მიპყრობილია სახელოვან მოსკოვზე. მთელი დედამიწის ხალხები მადლობელი არიან საბჭოთა ხალხებისა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი და საბჭოთა მთავრობისა, საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიისა ბრძნული გადაწყვეტილებისათვის შეწყვეტოს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა, გადაწყვეტილებისა, რომელიც შეიძლება იყოს და კიდევაც უნდა იყოს პირველი და გადამწყვეტი ნაბიჯი გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხისაგან კაცობრიობის საბოლოო ხსნისათვის.

მონღოლეთის რადიომ გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობისმოყვარე მონღოლი ხალხი მხურვალედ მიესალმება ამ მხარს უჭერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

„ქაცობრიობისათვის ბედნიერი ცნობა მოვიდა კრემლიდან“, — წერენ **ჩინური** გაზეთები, კვლავ უკეთებენ რა კომენტარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის საკითხზე.

ცნობა საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ **შვეიცის** პრესის უურადღების ცენტრშია. „საბჭოთა კავშირის ახალ ნაბიჯს, — წერს მოწვნავე სტატიაში „სტოკჰოლმს-ტიდნინგენი“, — უნდა მივესალმოთ როგორც პრაქტიკული, ისე მორალური მოსაზრებებით...“.

შვეიცარიის გაზეთები დიდი სათაურებით იუწყებიან საბჭოთა კავშირის მიერ ატომგული იარაღის გამოცდის ცალმხრივ შეწყვეტას. გაზეთი „ტრიბუნ დე ლოზანი“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 31 მარტის სხდომას ისტორიულს უწოდებს.

ვენის ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნა ცნობა საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის საკითხზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილების შესახებ. გაზეთმა „დი პრესემ“ დადგენილებას მიუძღვნა მოწინავე სტატია. „საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება, — ნათქვამია სტატიაში, — თავისი ინიციატივით შეწყვიტოს ატომური იარაღის გამოცდა, მისასალმებელია. იგი ხელს შეუწყობს იმას, რომ მოლაპარაკება განიარაღების შესახებ გამოიყვანოს ჩიხიდან და დააყენოს სწორ გზაზე“.

საბერძნეთის გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე ათავსებენ ცნობას საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის საკითხზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილების შესახებ. სტატიაში სათაურით „ისტორიული გადაწყვეტილება“ გაზეთი „ავგი“ წერს: საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია მთელ მსოფლიოში. იგი განამტკიცებს მშვიდობის ძალებს. ამავე დროს იგი ადასტურებს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარეობას და მის გულწრფელ მისწრაფებას გზა გაუხსნას დიდ სახელმწიფოთა წარმატებით თათბირს, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს ცივ ომს.

არაბთა საზოგადოებრიობა მიესალმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ. **არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის** ინფორმაციის სამმართველოს გენერალურმა დირექტორმა საად აფრამ განაცხადა, რომ რესპუბლიკის მთავრობა მიესალმება სსრ კავშირის გადაწყვეტილებას ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, რომელიც შეესაბამება ბანდუნგის კონფერენციის რეზოლუციებს.

კომენტარს უკეთებს რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის საკითხზე, **სირიის** გაზეთი „ელ ბალადი“ სარედაქციო სტატიაში სათაურით „ისტორიული გადაწყვეტილება“ აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირის მიერ ატომგულის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის საკითხზე, **კანადის** გაზეთი „გლობ ენდ მეილი“ წერს, რომ ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხში გაჭიანურებამ ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ „საზოგადოებრიობაში გამოიწვია გაბრაზება და აღშფოთება, რაც მიმართული იქნება უმთავრესად ვაშინგტონის წინააღმდეგ“. სსრ კავშირის საგულისხმო ინიციატივა, აცხადებს „გლობ ენდ მეილი“, „უაღრესად დიდ გავლენას მოახდენს“.

ეგვიპტის „ალ ალამი“ ამბობს: „ეს ინიციატივა ეხმიანება ყველა ადამიანის ფიქრებს, ეს ინიციატივა ეხმიანება ყველა ადამიანის ოცნებას, ეს ინიციატივა ეხმიანება ყველა ადამიანის ნებას, ეს ინიციატივა ეხმიანება ყველა ადამიანის ბედნიერებას“.

ინდოეთში „ინდიან ექსპრესი“ ამბობს: „ეს ინიციატივა ეხმიანება ინდოეთის ხალხის ნებას“.

ინდონეზიის „ალიანსი“ ამბობს: „ეს ინიციატივა ეხმიანება ინდონეზიელ ხალხს“.

ირანის „ეტალაატ“ ამბობს: „ეს ინიციატივა ეხმიანება ირანელ ხალხს“.

ინგლისში „ტაიმს“ ამბობს: „ეს ინიციატივა ეხმიანება ინგლისელ ხალხს“.

ინგლისში „ტრიბიუნ“ ამბობს: „ეს ინიციატივა ეხმიანება ინგლისელ ხალხს“.

ინგლისში „ინდიპენდენტ“ ამბობს: „ეს ინიციატივა ეხმიანება ინგლისელ ხალხს“.

ინგლისში „ნიუ ინგლიშ ტაიმს